



## საქართველოს გააჩნია ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის შესამცირებელი ბერკეტები

საქართველო | ეკონომიკა  
28 თებერვალი 2020

2020 წელი მნიშვნელოვანი გაურკვევლობით დაიწყო მსოფლიოში. კორონავირუსმა საფრთხე შეუქმნა ადამიანების ჯანმრთელობას და შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა ჩინეთში, რაც მსოფლიო ეკონომიკაზეც აისახა - მსოფლიო ბირჟებზე აქციების ფასები ეცემა, ვალუტები უფასურდება, მოგზაურობა იზღუდება და სხვა. საქართველომ კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით შეაჩერა ვიზიტორების მიღება ჩინეთიდან და ირანიდან. იმედია, რომ ვირუსი გლობალური პანდემიის სახეს არ მიიღებს და ეკონომიკები გამოცოცხლდება. თუმცა ამ ეტაპზე მსოფლიოში გაურკვევლობა გრძელდება და რთულია ზუსტი შეფასებების გაკეთება. ამის გათვალისწინებით, ჩვენ ვიწყებთ საფრთხეების იდენტიფიცირებას საქართველოს ეკონომიკისთვის და სხვადასხვა არასასურველი სცენარის განვითარების შემთხვევებსაც ვუშვებთ.

საქართველოს ეკონომიკას გლობალურ და რეგიონულ შოკებთან გამკლავების ბევრი წარმატებული მაგალითი აქვს. მაგალითად, შარშან რუსეთის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვის მიუხედავად 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 2012 წლიდან მოყოლებული ყველაზე სწრაფი ტემპით 5.2%-ით გაიზარდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმადე, მშპ-ს 4.4%-მდე შემცირდა, თუმცა ლარი გაუფასურდა ფრენის აკრძალვასთან დაკავშირებული უარყოფითი მოლოდინების ფონზე. შესაბამისად, ლარის გაუფასურება აისახა ფასებში და შედეგად ინფლაცია 2019 წლის ბოლოს 7%-მდე გაიზარდა. ამის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა გაზარდა საპროცენტო განაკვეთი, გაყიდა აშშ დოლარი და შეამცირა დარეზერვების ნორმა. ამ ღონისძიებებმა ლარზე დადებითად იმოქმედა და 2019 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან ლარმა გამყარება დაიწყო.

2019 წლის ბოლოს, ჩვენ განვაახლეთ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.7%-ის დონეზე 2020 წლისთვის და გამოვყავით ორი ძირითადი რისკი - გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და არჩევნებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. მაგრამ ახლა ჩვენ განსხვავებული შეხედულება გვაქვს ამ რისკებთან დაკავშირებით. ლარის საპროცენტო განაკვეთების ზრდამ მოთხოვნა უცხოური ვალუტის შესახებ გადაამისამართა, სადაც პროცენტებმა დაიწია სარეზერვო ნორმების შემცირების შედეგად, და შესაბამისად მთლიანი დაკრედიტება მოსალოდნელზე უფრო მეტად გაიზარდა. ამავდროულად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კომუნიკაცია რომ სავალუტო შესყიდვები წელს არ განხორცილდება და ხელისუფლების მაღალი დონის თანამდებობის პირების მხრიდან მზაობა რომ არჩევნების წელს რაიმე ახალი რეგულაციის შემოღება არ მოხდება, ბიზნეს განწყობებზე დადებითად აისახება, რაც ლარის დეპოზიტების ზრდაში და ლარის გამყარებაშიც აისახა. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორი რისკი შესუსტდა, მაგრამ სახეზეა ახალი რისკი - კორონავირუსი. ამ ეტაპზე ძნელია ზუსტი შეფასებების გაკეთება თუ რა გავლენა ექნება ამ ვირუსს საქართველოს ეკონომიკაზე: 1) აკრძალა ფრენები ჩინეთთან და ირანთან, მაგრამ საქართველოს ამ ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი საგარეო შემოსავლები არ აქვს და გავლენაც სუსტი იქნება, 2) მაგრამ თუ ვირუსმა გლობალური ეკონომიკის შემცირება გამოიწვია (რასაც ამ ეტაპზე ვარაუდობენ), მაშინ ეს ჩვენ ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახება.

### ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 8036

### ლანა ქავთარაძე

მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უფროსი | [lashakavtaradze@gt.ge](mailto:lashakavtaradze@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 7473



ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კორონავირუსი მოკლევადიანი გამოწვევა იქნება, თუმცა თუ ვირუსი გახანგრძლივდა და მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა, მაშინ გარკვეული საფრთხეები სახეზე იქნება:

1. ვირუსის ხანგრძლივობის მიუხედავად ნეგატიური გავლენა ტურიზმზე მოსალოდნელია. საქართველომ დროებით შეაჩერა პირდაპირი ფრენები ჩინეთთან და ირანთან. ამ ქვეყნების წილი მთლიან ვიზიტორებში და ტურიზმის შემოსავლებში მცირეა და ყოველთვიურად ფრენების აღდგენამდე მცირე შემოსავლები დაგვაკლდება. თუმცა, ვირუსთან დაკავშირებული პანიკის გამო, სავარაუდოდ სხვა ქვეყნის ვიზიტორებიც შეიკავებენ თავს მოგზაურობისგან და შესაბამისად ტურიზმის დანაკარგები გაიზრდება. თუმცა წინასწარ მნელია ამ პოტენციური დანაკლისის პროგნოზირება.
2. ამასთან, ტურიზმის შემცირების შემთხვევაში ასევე მოსალოდნელია ნეგატიური გავლენა უძრავ ქონებაზე. ამ კუთხით მოსალოდნელია გაყიდვების შენელება, მათ შორის უცხოელების მხრიდან. შესაბამისად, მოსალოდნელია ბინათმშენებლობის შენელება, თუმცა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება მშენებლობის სექტორის კლებას გარკვეულწილად შეანელებს.
3. ვირუსის შედეგად მსოფლიოში ნავთობის ფასები ეცემა, რაც საქართველოს როგორც ნავთობ-იმპორტიორი ქვეყნისთვის ხელსაყრელია. თუმცა, ნავთობის ფასების მნიშვნელოვან შემცირებას უარყოფითი ეფექტიც აქვს, რადგან რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდება ფულადი ნაკადების შემოდინება. შესაბამისად, ჯამური გავლენა შეიძლება უარყოფითიც იყოს, როგორც ეს 2015-16 წლებში იყო.
4. ტურიზმის შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება ლარზე უარყოფითად აისახება, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნულ ბანკს აქვს ბერკეტები (რეზერვები, პოლიტიკის განაკვეთი, და სხვ.) რომ შეაკავოს ლარის ზედმეტი გაუფასურება, რომელიც საზიანო იქნება ეკონომიკისთვის.
5. იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსის გახანგრძლივების შემთხვევაში მსოფლიო სასაქონლო ფასები შემცირდება, შესაბამისად საქართველოში ფასების მკვეთრ ზრდას არ ველით, რასაც ასევე სუსტი მოთხოვნაც შეაკავებს.
6. ტურისტული შემოსავლების მკვეთრი ვარდნის შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ რომ მთავრობას და ეროვნულ ბანკს გააჩნიათ შესაბამისი ბერკეტები, რომ ეკონომიკური ზრდა დადებითი დარჩეს 3%-ის ფარგლებში. მთავრობას აქვს საკმარისი ფისკალური სივრცე - მთავრობის ვალი და ბიუჯეტის დეფიციტი დაბალია და ამ პარამეტრების პირობებში უკვე გააჩნია ბუფერი 700 მლნ ლარის ოდენობით. ამ ფულს 2020 წლის ბიუჯეტის კანონით მთავრობა დეპოზიტზე აგროვებს და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მისი გამოყენება და ეკონომიკის წახალისება.



**ცხრილი 1: საქართველოს საგარეო შემოსავლები ჩინეთიდან 2019 წელს**

	ექსპორტი	ტურიზმის შემოსავლები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ფულადი გზავნილები	სულ
შემოსავლები ჩინეთიდან, მლნ აშშ დოლარი	228	30	36	1	<b>294</b>
ჩინეთის წილი მთლიან საგარეო შემოსავლებში, %	6.0%	0.9%	3.9%	0.1%	<b>3.0%</b>
შემოსავლები ჩინეთიდან, %-ად მშპ-თან	1.3%	0.2%	0.2%	0.0%	<b>1.7%</b>

საქართველომ ჩინეთთან პირდაპირი ფრენები აკრძალა კორონავირუსის საფრთხის ასაცილებლად. ჩვენი შეფასებით ფრენების აღდგენამდე (აპრილი 2020) ყოველთვიური დანაკლისი დაახლოებით 2.5 მლნ აშშ დოლარი და 4,000 ვიზიტორი იქნება ჩინეთიდან.

ამასთან, 2019 წელს საქართველომ ჩინეთიდან სულ 300 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც მშპ-ს 1.7%-ია და მთლიანი საგარეო წყაროდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 3%-ია (სპილენძის რე-ექსპორტს თუ გამოვრიცხავთ ჩინეთზე დამოკიდებულება მშპ-ს მხოლოდ 0.8%-ია).

*წყარო: სეზ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოცემულია 2019 წლის 9 თვის მდგომარეობით*

**ცხრილი 2: საქართველოს საგარეო შემოსავლები ირანიდან 2019 წელს**

	ექსპორტი	ტურიზმის შემოსავლები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ფულადი გზავნილები	სულ
შემოსავლები ირანიდან, მლნ აშშ დოლარი	71	105	1	0	<b>177</b>
ირანის წილი მთლიან საგარეო შემოსავლებში, %	1.9%	3.2%	0.1%	0.0%	<b>1.8%</b>
შემოსავლები ირანიდან, %-ად მშპ-თან	0.4%	0.6%	0.0%	0.0%	<b>1.0%</b>


საქართველომ ირანთან მიმოსვლა აკრძალა კორონავირუსის საფრთხის ასაცილებლად. ჩვენი შეფასებით, მიმოსვლის აღდგენამდე ყოველთვიური დანაკლისი დაახლოებით 8 მლნ აშშ დოლარი და 11,000 ვიზიტორი იქნება ირანიდან.

2019 წელს საქართველომ ირანიდან სულ 177 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც მშპ-ს 1.0% და მთლიანი საგარეო წყაროდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 1.8%-ია.

*წყარო: სეზ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოცემულია 2019 წლის 9 თვის მდგომარეობით*




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის წლიური ზრდა, %




წყაროს: საქსტატი

დიაგრამა 2: მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, %-ად მშპ-თან



წყაროს: სეზ, საქსტატი, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 3: წლიური ინფლაცია, %



წყაროს: საქსტატი


რუსეთის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვის მიუხედავად 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 2012 წლიდან მოყოლებული ყველაზე სწრაფი ტემპით 5.2%-ით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმამდე მშპ-ს 4.4%-მდე შემცირდა 2019 წელს, რადგან ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ტურიზმის შემოსავლები გაიზარდა, ხოლო იმპორტი შემცირდა (ნავთობის დაბალი ფასების და უცხოური ინვესტიციების შემცირებასთან დაკავშირებული იმპორტი კლების გამო).

წლიური ინფლაცია 7%-მდე გაიზარდა 2019 წელს ლარის გაუფასურების შედეგად. ამასთან, ინფლაცია 2020 წლის იანვარში 6.4%-მდე შემცირდა.




დიაგრამა 4: ლ/\$ გაცვლითი კურსი




წყაროს: სეზ

დიაგრამა 5: საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი



წყაროს: სეზ

დიაგრამა 6: ტურიზმის შემოსავლები



წყაროს: სეზ


ეროვნული ბანკის ღონისძიებებმა (საპროცენტო განაკვეთის ზრდა, ვალუტის გაყიდვა, დარეზერვების ნორმის შემცირება 2019 წლის მე-2 ნახევარში) ლარი დაასტაბილურა და 2019 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან გამყარება დაიწყო. უცხოელების მიერ სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლარის გამყარებაში დეპოზიტების დოლარიზაციის შეცირებასთან ერთად.

გამოწვევების მიუხედავად უცხოური ვალუტის რეზერვები 2019 წელს წლიურად 6.6%-ით გაიზარდა 3.5 მლრდ აშშ დოლარამდე. ეს მოცულობა საკმარისია, რომ დაფინანსდეს 3 თვეზე მეტი ოდენობის საქონლისა და მომსახურების იმპორტი.

ტურისტული ვიზიტები და შემოსავლები 2019 წლის მე-2 ნახევარში გაიზარდა, რუსი ვიზიტორების შემცირების მიუხედავად. 2019 წელს ტურიზმის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 1.4%-ით და 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა დაჩქარდა 2020 წლის იანვარში - საერთაშორისო ვიზიტები წლიურად გაიზარდა 19.8%-ით.




დიაგრამა 7: ფულადი გზავნილები



წყაროს: სებ

ფულადი გზავნილები წლიურად 9.7%-ით გაიზარდა 1.7 მლრდ აშშ დოლარამდე 2019 წელს.


დიაგრამა 8: ეკონომიკური კავშირები (ექსპორტი, ტურიზმი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები), %-ლი წილი მთლიან საგარეო შემოსავლებში, 2019 წელი



წყაროს: სებ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქსტატი, გალტ & თაგარტი

საქართველოს დივერსიფიცირებული ეკონომიკური კავშირები აქვს, რაც ამცირებს ნეგატიური ეფექტების გადმოცემას ცალკეული პარტნიორი ქვეყნებიდან.

დიაგრამა 9: ფისკალური დეფიციტი, %-ად მშპ-თან




წყაროს: ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი

მთავრობის ვალი და ბიუჯეტის დეფიციტი ხელსაყრელ დონეზეა, და 2020 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 700 მლნ ლარის ბუფერის გათვალისწინებით. ეს ბუფერი მთავრობას მოქნილობას ანიჭებს და შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ეკონომიკის წასახალისებლად.



დიაგრამა 10: მთავრობის ვალი, %-ად მშპ-თან



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, საუსტატი

მთავრობის ვალი დაბალ ნიშნულზეა. 2019 წლის ბოლოს მთლიანი მთავრობის ვალი მშპ-ს 40.3%-ია, საიდანაც საგარეო ვალი მშპ-ს 31.9%-ია და საშინაო ვალი მშპ-ს 8.4%-ს შეადგენს. ამასთან, საგარეო ვალი საკმაოდ შეღავათიანია - საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2.1%-ია ხოლო ვადიანობა 22 წელია.



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, ან რომელიმე საინვესტიციო მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ამის მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ამის მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განქორციელება დადგენა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: gt@galt.ge